საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1532 2020 წლის 13 აგვისტო ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. 2020 წელს ონის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო-აღდგენითი და მასთან დაკავშირებული საპროექტო-საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოს არა უმეტეს 24 400 000 (ოცდაოთხი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა, მათ შორის:

ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს – არა უმეტეს 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარისა;

გ) ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 400 000 (ოთხი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2555 2020 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს №1532 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს №1532 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2020 წელს ონის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო-აღდგენითი და მასთან დაკავშირებული საპროექტო-საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და

ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოს არა უმეტეს 24400000 (ოცდაოთხი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა, მათ შორის:

ა) დეპარტამენტისთვის – 2020 წელს ონის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო-აღდგენითი და მასთან დაკავშირებული საპროექტო-საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელებისათვის – არა უმეტეს 15 220 000 (თხუთმეტი მილიონ ორას ოცი ათასი) ლარისა, ხოლო დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების მიზნით – არა უმეტეს 4 780 000 (ოთხი მილიონ შვიდას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ბ) ონის მუნიციპალიტეტისთვის – 2020 წელს ონის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო-აღდგენითი და მასთან დაკავშირებული საპროექტო-საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელებისათვის – არა უმეტეს 4 400 000 (ოთხი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი გახარია**